

განმარტებითი ბარათი

„ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ“

საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის პროექტზე

ა. ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონის მიღების მიზეზი:

გარემოს პოტენციური შესაძლებლობებისა და მდგრადი განვითარების პრინციპზე დაფუძნებული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, მოსაკრებლებს იხდიან ის პირები, რომელთა საქმიანობა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება ლიცენზირებას. საქართველოს კანონში „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ შეტანილ იქნა დამატება და ამ კანონის 24-ე მუხლს დაემატა 53-ე პუნქტი „სანაპირო თევზჭერის ნებართვა“. აღნიშნული კანონის თანახმად, პირებს, რომლებიც თავიანთ საქმიანობას – „თევზჭერას“ აწარმოებენ მცირე მეწარმეობის თვალსაზრისით, ზღვის ნაპირიდან 1 მილის ლანდშაფტში ეძლევათ უფლება ისარგებლონ ზღვის ბუნებრივი რესურსებით ნებართვების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, საჭიროა, რომ საქართველოს კანონში „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ“ შეტანილი იქნეს სათანადო დამატებები.

ა.ბ) კანონის პროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია ფასიანი ბუნებათსარგებლობის პრინციპების შენარჩუნება და მდგრადი განვითარების პრინციპების დაფუძნება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ითვალისწინებს მცირე მეწარმეობაზე ხელშეწყობას, კერძოდ: „სანაპირო თევზჭერის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის თანახმადაც სანაპირო თევზჭერის საქმიანობა დასაშვებია განხორციელდეს ნებართვების საფუძველზე, აუცილებელია, რომ შეიქმნეს კანონიერი საფუძველი.

ბ. კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი დაფინანსების წყარო

აღნიშნული კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

სახელმწიფო არ იღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტი, არ გავრცელდება ფინანსური ზეგავლენა.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრის წესის (პრინციპი) კანონპროექტით „ცხოველთა სამყაროს ობიექტების (რესურსების) სარგებლობის შესახებ“ მუხლი 4 პუნქტი 5-ის VIII–XXIII-ე ჯგუფის ცხოველებზე მოსაკრებლების დაწესება არ განხორციელდება იმ რეგულირების ობიექტებზე, რომლებიც თევზჭერას ახორციელებენ ნებადართვებით.

გ. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან: კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან: წინამდებარე კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩვენი ქვეყნის წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან: ეს კანონპროექტი არ მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან. პირიქით, გარკვეულწილად შესაბამისობაში მოდის შავი ზღვის ქვეყნების კონვენციასთან.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში: კანონპროექტის მომზადების პროცესში ჩატარდა კონსულტაციები აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში: ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის წევრი მირიან ნუმანიშვილი და კომიტეტის აპარატის უფროსი ნოდარ ირემიძე.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.